



## ეთიკის კომისიის რეკომენდაცია №010/14

### 1. შეკითხვა

2014 წლის 29 ნოემბერს ეთიკის კომისიას მიმართეს შემდეგი შეკითხვით - ადვოკატი კოლეგას დაჰპირდა მის ქონებაზე, თავისი კლიენტის სასარგებლოდ დადებული ყადაღის მოხსნას, ხოლო შემდგომში აღნიშნული ქმედება არ განუხორციელებია. გთხოვთ შეაფასოთ ადვოკატის ქმედება

### 2. სამართლებრივი შეფასება

დაარღვია თუ არა ადვოკატმა განმცხადებლის შეკითხვაში მოცემული ქმედებით ეთიკის კოდექსი.

ადვოკატს შეკითხვაში მოცემული ქმედებით არ დაურღვევია ეთიკის კოდექსი.

თუ ადვოკატი დაპირდა კოლეგას, მის ქონებაზე თავისი კლიენტის სასარგებლოდ დადებული ყადაღის მოხსნას და შემდეგ არ შეასრულა დაპირება, დაარღვია თუ არა მან თავისი ქმედებით ეთიკის კოდექსი.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი: „პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს, შესაბამისად, ადვოკატის იძულება, განახორციელოს გარკვეული ქმედება, გარდა კანონით და პროფესიული ეთიკით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაუშვებელია.

დისციპლინური კოლეგია აღნიშნავს, რომ კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას, პირად და სხვა პირთა ინტერესებთან უპირატესობის გათვალისწინებით.

მოცემულ შემთხვევაში, მომჩივნის ადვოკატის ქმედება განპირობებული უნდა იყოს მისი კლიენტის ინტერესების შესაბამისობით. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველის საცხოვრებელ ბინაზე ყადაღის მოხსნა დააზიანებს კლიენტის ინტერესებს, ადვოკატი არ არის უფლებამოსილი, თუნდაც კოლეგის თხოვნის შედეგად მის საცხოვრებელ ბინაზე ყადაღის მოხსნის მოთხოვნით მიმართოს შესაბამის ორგანოს. მეტიც, ის ვალდებულია არ განახორციელოს აღნიშნული ქმედება.

მომჩივნის ადვოკატის კლიენტი არ არის ამ შემთხვევაში ბინის შემძენი, არამედ არის ის ნათესავი პირი, რომლის ინტერესებისათვისაც მის მიერ დამყარებულია სახელშეკრულებო ურთიერთობა, შესაბამისად ადვოკატი მოქმედებს მხოლოდ კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის მიერ შემძენის საცხოვრებელ ბინაზე ყადაღის მოხსნის მოთხოვნა დააზიანებს კლიენტის ინტერესებს, ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს აღნიშნული ქმედება. პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატებს შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას, თუმცა, კლიენტის ინტერესებს პროფესიის ინტერესებზე წინ აყენებს.

© ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი  
იურიდიული ეთიკის მიმართულება  
© ანა წიკლაური



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION  
UNIVERSITY**

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

ადვოკატს მოცემული დაპირებით და შემდეგ მისი შეუსრულებლობით არ შეუღახავს კოლეგის ღირსება და არ დაურღვევია ეთიკის კოდექსი.